

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2021 წლის „ აგვისტო, ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული  
უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის  
უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება (ბინები) თანახმად დანართისა.
2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების (ბინების) საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი  
პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 25 აგვისტოს N4668/02 (N14-1421233133-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა განახორციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისათვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს 2021 წლის 23 ივლისის N1/1-3553 ბრძანებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონებების (საცხოვრებელი ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების (ბინების - თანახმად დანართისა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაცემა შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

„სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ რეკომენდაციის თანახმად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინების/ფართების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა იქ მცხოვრებ ფიზიკურ პირებზე საკუთრებაში გადასაცემად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;  
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
მერიის მუნიციპალური ქონების და  
სერვისების მართვის სამსახურის  
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე

ქ. ბათუმში, დიმიტრი სვიშევსკის ქ. №48, სახელმწიფოდან გადმოცემული 8 ერთეული ბინა  
(ბრძანება 1/1-3553; 23.07.2021წ.)

№	მისამართი	ფართი კვ.მ.	საკადასტრო კოდი
1	ქ. ბათუმი, დიმიტრი სვიშევსკის ქ. №44, ბინა №5	78,22	05.30.10.157.01.005
2	ქ. ბათუმი, დიმიტრი სვიშევსკის ქ. №54, სართული 1, ბინა №4	64,84	05.30.10.151.01.004
3	ქ. ბათუმი, დიმიტრი სვიშევსკის ქ. №62	81,25	05.30.10.174.01.502
4	ქ. ბათუმი, სამეზბის ქუჩა, ჩიხი I, №3, ბინა №15	71,09	05.35.27.047.01.015
5	ქ. ბათუმი, სამეზბის ქუჩა, ჩიხი I, №3, სართული 3, ბინა №26	30	05.35.27.047.01.026
6	ქ. ბათუმი, სამეზბის ქუჩა, ჩიხი I, №3, ბინა №12	59,61	05.35.27.047.01.012
7	ქ. ბათუმი, დიმიტრი სვიშევსკის ქ. №48, სართული 1, ბინა №1	119,93	05.30.10.150.01.001
8	ქ. ბათუმი, დიმიტრი სვიშევსკის ქ. №48, სართული 1, ბინა №2	46,14	05.30.10.150.01.002